



ქართული, 7, 036060

მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და სხოვნება“-ში № 23—1915

თვიურად ჟურნალი ჰღირს 40 კ.



მადლიერ ერისაგან დადაფნილი აკაკი
 სამუბათს, 9 ივნისს, მისი დაბადების დღეს, სახაზინო
 თეატრში და საქართველოს სხვა და სხვა ქუთხეში
 იმართება „აკაკის საღამო“

ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ ი

სამშაბათს, 9 ივნისს, აკაკის დაბადების დღის გაიმართება პირველი

ს ა ლ ა მ ო ა კ ა კ ი ს ა

რომლის წმ. შემოსავალი გადაიდება საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან არსებულ აკაკის სახელობის ზეპირსიტყვაობის შესაკრებ ფონდის გასაძლიერებლად
ს ა ლ ა მ ო ს შ ი ნ ა ა რ ს ი :

I შესავალი სიტყვა.

II „ნ ა თ ე ლ ა“ ერთ სურათად, დადგმული ად. წუწუნავს სელმძღვანელობით; ქ-ნ ე. ამირაჯიბისა, ი. ზურაბიშვილის და თავ. ნიკოლოზ ერისთავის მონაწილეობით. მომდგრადთა გუნდი ბ-ნ სანდრო კავსაძის სელმძღვანელობით შესრულებს დასავლეთ საქართველოს სიმღერებს. სანდრო კავსაძე გუნდის დახმარებით შეასრულებს სოფლის „დაიგვიანეს“

III საკონცერტო განმარტული კომპოზიტ. კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ნ. ვესელოვზოროვისა (ბახუტაშვილის ასული), ბ-ნი: ივ. სარაჯიშვილი, ტომაშვილი და ჭუმბურიძე. აგრედვე მომდგრადთა გუნდი ბ-ნ სანდრო კავსაძის ლოტბარობით; საკონცერტო განმარტულებაში სხვათა შორის შესრულებული იქნება პირველად: „ცირას არია“ მ. ბალანჩივადის ოპერა „თამარ ცბიერი“-დან. „აღმართ აღმართ“ — სიმღერა კ. ფოცხვერაშვილის, „იავ ნანა“ — იპოლიტოვ-ივანოვისა „განთიადი“ კ. ფოცხვერაშვილისა, „გოჩას არია“ „თამარ ცბიერიდან“ და სხვა.

IV. ცოცხალი სურათები: ა) „მეჯექუელი ამირანი“, ბ) „განთიადი“ (დავ) აპოთეოზი ბილეთები იყიდება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების (სასახლის ქუჩა თავდაზნაურობის ქარაგნის) მაღაზიის გამგის თავ. ივ. ავალიშვილთან, დილის 10-დან 2 ს-დე და საღამოს 5-დან 7 ს-დე. ბილეთები არავის დაეგზავნება. ♦ დასაწყისი საღ. 8 1/2 ს.

ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

კვირას 7 ივნისს სასახლსა სახლსა ქართულ სტენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ეტ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული ზოლია ირეთლის მიერ

ქ რ ი ს ტ ი ნ ე

დრამა 4 მოქ. მონაწილეობენ: ქ-ნი ს. ანკარი, ო. ანტუანეტა, ბარათაშვილი, ლ. გოდერძი, მატარაძე, მ. რომანიშვილი, ნ. თოძე; ბ.ბ. გ. ანაშვილი, ა. ივერელი, ა. მეტრეველი, ი. მინდიაშვილი, ვ. რატიშვილი, თვალჭრელიძე, მ. ტიაურელი და სხ.

ადგილების ფასი 4 კ. 50 კ-დე რეჟისორი კ. შათირიშვილი გამგე ა. ბადრიძე

ყოველდღიური საპალიტიკო, სამეურნეო და სალიტერატურო გაზეთი

ახალი ქართული

ფასი: ერთის წლით 5 მან., 6 თვით 3 მან., სამის თვით 1 მ. 50 კ., ერთის თვით 50 კ. ხელის მოწერა მიიღება „ახალი ქართული“-ს კანტორაში, გორი, სამეფო ქ. № 15

ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

ოთხშაბათს, 10 მაისს, ქართველ მსახიობთა მიერ ტ. აბაშიძის და მალ. გუნთას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება დიუმას ცნობილი პიესა

ელეონორ კინი

5 მოქ. თარგმანი ვ. გუნთასი

(წარმოდგენილი იქნება აგრედვე უკანასკნელი მოქმედება რომელიც ჯერ ქართულ სცენაზე არ დადათგმულა)

მონაწილეობენ: ქ-ნი: ტ. აბაშიძე, მ. ქილარჯიშვილი, მ. გუგულაშვილი, ა. კვეთელი; ბ-ნი ვ. გუნთა, გ. გედევანიშვილი, დ. მგალობლიშვილი, ნ. ციციშვილი, პ. ფრანგიშვილი შ. გომელაური, ი. თარალაშვილი, და ს. რომანიშვილი

კინის როდს შესრულებს ვალ. გუნთა ადგ. ფასი 1 მ-დან 5 კ-დე

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

რეჟისორი ვ. გუნთა გამგე პ. ფრანგიშვილი



№ 23

წელიწადი
მ ე ს ა მ ე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: Тифლისь Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашვილი

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 23

კ ვ ი რ ა 7 ი ბ ნ ი ს ი

1915 წ.

7 ი ბ ნ ი ს ი

შეხმატკბილება პირველი მუსლია სცენისა.

რაც უნდა უშნო მეთარე იყოს, არასოდეს თარს არ დაუკრავს, თუ სიმები ერთი მეორეს არ შეუწყობს; ტკბილს, აზრიან-შინაარსიან ჰანგს ვერ გამოსცემს არავითარი საკრავი, თუ იმისი სახმაურო ნაწილნი ერთი მეორესთან არ არის შეწყობილი.

ასეა ხელოვნების ყოველ დარგში. — მუსიკასა, მხატვრობასა, სასცენო ხელოვნებასა და სტეკვაშიაც.

ჰანგთა, ფერთა და მიმოხვრათა შეხმატკბილება საჭიროა ხელოვნების ყველა იმ დარგში, რომელიც მოქმედებს ადამიანის მხედველობასა და მსმენელობაზე, ხელოვნების ყველა იმ დარგში, რომელიც კი ადამიანის მშვენიერების გრძნობას ასაზრდოვებს ადამიანს სულიერად აღამაღლებს.

სადაც შეხმატკბილება არ არის, იქ ხელოვნებაზე ლაპარაკიც მეტია. ეს ცხადი ქეშმარიტება, სავალალოდ, ჯერ კიდევ ვერ შეუღნია ჩვენი სცენის მსახურთა დიდს უმეტესობას: დაუმუშავებელი ხმა, ყველგან და ყოველთვის ერთნაირი კილო ლაპარაკისა (რა ხასიათის როლსაც უნდა ასრულებდნენ) ერთგვარი მიმოხვრა, ერთნაირი მანერები.

უმეტესად ბოხი, ხრინწიანი, ჩახლენილი ლაპარაკი, უხეირო გავლა-გამოვლა, შემკრთალი ბგერა ხმისა, ულაგ-ალაგოს თვალების ქყეტა (როლები უცოდინარობის გამო), — აი ნიშანდობილი თვისება ჩვენი სცენის მომეტებულ მსახურთა.

შეუფერებელი დეკორაციები, უმსგავსი ტანისამოსები, ბუნების მოვლენათა არა ბუნებრივად ჩვენება და მრავალი სხვა, — აი დამახასიათებელი თვისება ჩვენი სცენის ხელმძღვანელთა.

სცენაზე ვხედავთ არა ბუნებრივობას, — სიყალბეს, უხამსობას. და მიტომაც არის, რომ მსახიობი მაყურებელს იშვიათად აღაფრთოვანებს.

ახლა ყოველ მოქმედების შემდეგ მსახიობთა თავდასაკვრელად გამოსვლა, ერთი წუთის წინად „მოკლულის“ გაცოცხლება და „შტრინგად“ წამოღგომა ვაინაჩრობით შექმნილი შთბეჭდილების გასაქარწყლებლად, — აი, „ილიუზია“ ჩვენი სცენის ქურუმთა. თეატრი ცხოვრებას რითი ან როდის-ღა უნდა დაუახლოვონ?!

ჩვენი მადიდებელის სადიდებლად დიდებული ადამიანები სიკვდილის შემდეგაც ემსახურებიან სამშობლოსა და კაცობრიობას.

ერთი ასეთი დიდებულთაგანია საქართველოს წინასწარ-მეტყველი, ჩვენი მოძღვარი აკაკი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ნარეკლიან გზით სამსახური სამშობლოსა არ იკმარა, არც ის იკმარა, რომ მრავალი ხელის-ხელსაგომანებელი მარგალიტი დაგვიტოვა, და გარდაცვალების ჟამს გვიანდერძა ერის სიბრძნის შემოქმედების შეკრება.

ერმაც თავისი წინასწარმეტყველ შვილის ეს ანდერძი მცნებად დაისახა და თავისი მოძღვრის დაბადების დღე, 9 ივნისი, ყოველ

წლიურ მოსაგონებელ დღედ აღიარა ანდერძის განსახორციელებელ საშუალებათა გასაძლიერებლად.

ამ დღეს ყოველი ქართველი აზრით უნდა ეზიაროს აკაკის მოძღვრებას და თავისი წვლილიც გაიღოს დიდი მოძღვრის ანდერძის აღსასრულებლად.

სამშაბათს, 9 ივნისს, სახანო თეატრში გაიმართება აკაკის საღამო.

ასეთივე საღამოები გაიმართება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში.

თქმა არ უნდა, საზოგადოება და ხალხი ამ საღამოებს მოწიწებით და გულუხვად დაესწრება, რომ აკაკის სულს ეზიაროს...

სოფელი გვინძობს!..

ბურუსს მოუცვავს სოფელი,
ფიქრს მისცემია მწარესა,
ქმუნვის დარები დასტყვია
სახესა მოღიმარესა ..

ბუნების შვილი — სოფელი
ნაზი და ხალისიანი —
აღარ ხალისობს კვალადა,
აღარ ჰყვავიან იანი.
აღარ ხასხასებს ვენახი,
ვაზი ძირს გდია უქიგოდ;
საქონელს უბატრონოსა
მუსრი ევლება უქიროდ;
მინდორი გადახრიკოდა,
ზღვა აღარ ჰდღვავს ყანისა;
დღეს უწუგვოდ შესტკერენ,
არც იმედია ხვალისა...

დაცარიელდა სოფელი,
დააკლდა მუშა მშრომელი —
ეს ძალა ბუნებრივი ული,
მომავლის მახარობელი;
და უამათოდ, თითქოსა,
ჩაჰკვდა, ჩანელდა ყოველი —
ღიად, ამათში ჰფეთქავდა
ზეგარდმო ძალა ცხოველი...

სოფელი ბურუსს მოუცვავს,
და იცრემლება მწარეთა —
უტყვე-მეტყველობით გვინძობენ:
ჰა, ხალხნო, დაგვეხმარეთა!..

მიხ. ნინოწმინდელი

დასის მოგზაურობა

(არც თუ მთლად
ნამდვილი ამბავი)

1

მოაწია დიდ-მარხვის სუნმა თუ არა, სუფლიორი უკვე შეუდგა სამზადისს სადიდ-მარხვო დასის შედგენისას.

ჯერ ყველიერი არ იყო დაწყებული და სეზონის დასასრულამდე ოთხი თუ ხუთი პიესა კიდევა ჰქონდა ქ. ან-ს დასს შესასრულებელი, ფხიანი და მოუსვენარი ვარლამი უკვე თავის ქურქში აღარ იყო. მ.ს იზიდავდა ის სიახლე მომავალი განცდისა, რომელიც ადამიანის გულში, მისდა საბედნიეროთ, არასოდეს არა კვდება ხოლმე. ვარლამი ცოტა გატაცებული ადამიანიც იყო და ჰგონებდა: პაწა დასი შესდგება ჩვენ ახალგაზდებისაგან, წავალთ პროვინციაში, შევიტანთ სინათლეს, ვარგებთ სოფელსო!

უფრო პრაქტიკული ამხანაგები აკი დასცინოდნენ კიდევც, რომ ვარლამს ყოველთვის საქმის „იდეური“ მხარე აინტერესებს და კომერციულს ჩრდილავსო. თან ამ „იდეურობას“ ისეთის დაცინვით იხსენიებდნენ, რომ სხვა, ვარლამის უზისო, ფარ-ხმაღს დაჰყრიდა, მაგრამ ჩვენი სუფლიორის ჰკვიან და ცოცხალ თვალებს მხოლოდ ცოტა დარცხვენა დაეტყობოდათ, თითქო ბოდიშს იხდიდნენ: — რა ვუყოთ ასეთი გავჩენილვარო! — თორემ გულსა მისსა შინა, არა იყო შიში არა იყო ზაკვა!

მისი ცოტა ჩასქელებული ტანი და მკვრივი, მაგარი ფეხები მეცადინეობაში დასვენების დროს ხან ერთ კულისების კუთხეში მოგოგმანდებოდა და ხან მეორეში.

— ანდრო! გადავწყვიტოთ, კაცო! რა არის, როგორი დაუდევარი კაცი ხარ, ღმერთმანი!

ეუბნებოდა ვარლამი ერთ ახოვან მსახიობს.

— ხომ ხედავ კომიტეტმა გამოგვიცხადა, რომ საზაფხულო სეზონს აღარ იქერს. ჩვენ კი დიდებს თუ უყურეთ, ხომ იცი, არაფერე არ იქნება. უთხარ, კაცო, სოსოს და დაჯერი, რომ წამოვიდეს.

— ეეჰ, რა ვიცი, ვარლამ გენაცვალე?! გუშინ ჩამოვუგდე სოსოს ამის თაობაზე ლაპარაკი, მაგრამ ძალიან შორს დაიქირა და რა ვქნა?..

— მე მეგონა შენ უფრო დაგიჯერებდა, თორემ თქმით მე უფრო ძლიერად ვეტყვი. აგერ არ არის?

მათკენ წამოვიდა ერთი შუატანის გამხდარი, პირ-გაპარსული ყმაწვილი კაცი მის გაშლილ და საზოგადოთ მხიარულ სახეს ერთ-გვარი სოფლის დაღი აჩნდა, თითქო ამ კაცს უყვე ბევრი რამ გამოუტლია ცხოვრებაში.

— რა გინდა, ვარლამ?

— აი, კაცო, უნდა დაგვეხმარო, სოსო. შევადგინოთ პატარა დასი და ამ დიდ მარხვაში ვიმოგზაუროთ.

სოსოს სახეს მეტი ნაღველი დაეტყო

— ჰო, გუშინ მითხრა ანდრომ, მაგრამ მართალი გითხრა ჯერ ვერაფერი მომიფიქრებია ..

— ე ბიჭო, სოსო? კი ნუ გვიღალატებ ახლა! თავისებური ჰუმორით მიმართა ვარლამმა.

— კაცო, მე როგორ დავაღალატებთ, მაგრამ უნდა კარგათ მოვიფიქროთ... ავწონდავწონოთ

— ჰო, ჰო, გენაცვა სოსო.

მაგრამ ამ დროს რეჟისორის თანაშემწემ ხარი დარეკა და მსახიობნი სამუშაოდ მიიწოდა.

— სოსო, უჩემოთ არ წახვიდე!..—მიადახა ვარლამმა და გასწია თავის მაგიდისაკენ

— კარგი, კარგი!—მიაყოლა სოსომაც.

იქნებოდა ღამის ცხრა საათი,რომ მეცაღინეობა დასრულდა

თეატრის კარებს გამოეყო სამი ნაქვითი და ეტყობოდათ, რომ „გზა დაიდევს“ მათთვის კარგა ნაცნობ სარდაფ „ანკარა“-საკენ.

გენაცვა

(შემდეგი იქნება)

მეგონა — დრამატურგი პ. რ.



მ. ი. უ. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინესძე — პ. რ.
(დაიბ. 1858 წ. 10 აგვ., გარდ. 21 იანვარს 1915)

ისიც გარდაიცვალა...

ის „ბუდისჯან გალაღებულისა“, შეუვის შთამომავალი, უმაღლეს წრეში დაბადებული, სრულ-სასწავლეში ნებეინად აღზრდილი, სამსახურის უმაღლეს ხარისხამდე ასული: იყო თბილ-საგონებლად ნაღვის უფროსად, სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარედ, ლეიბ-გვარდიის კომანდირად, სამხედრო სასწავლებელთა უფროსად, 1878 წ. რუს-ოსმალის ომშიც მონაწილეობდა...

მაგრამ იგი ჩვენთვის მთითი არ არის ნეტარმისაგანებული, რამედ მთითი, რომ ამ „ბუდისჯან გალაღებულმა“ ბევრჯერ იმდენი ბედკრულთა მწარე ჭანგები, გამხატვან მტარვალთაგან განწამებ მებრძოლთა სულისკვეთება, შექქმნა მრავალი ძვირფასი ლექსი, რამდენიმე პიესა — „მეფე სულთა“, „სეპსტიან წამებული“ უკანასკნელად ახალ უაღრეს დაწერილი „მეფე ურიათა“ (ქართულად განსვენებულ პ. მესხის მიერ თარგმნილი, რამდის ნაწილიც გასულ წლის „თეატრი და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა) და მუდამ ხელაწილების მთარგველი იყო .. ძალთ ხანაშია თეატრობდა თამარ შეუვის ცხოვრებიდან პიესის დაწერვას, მაგრამ მოასწორო თუ არა — ჯერ არაფერი უწიოთ...

სახელი ამ ბუდით გალაღებულისა კონსტანტინეა, დიდი მთავარი, მწერლობაში პ. რ. სახელით ცნობილი.

ეს ზედით გაღებულად ბედმა სისტა-
კად დასჯა: ამის დაწვებისას ბრძოლის ველ-
ზე მოუკლეს შვილი ოლეგი, სულ წამდებოდა
დღეს რაც მცხეთის ტაძარში სამარჯს მიახარეს
მისი სიძე, კ. მუხრან-ბატონი, ჟურ კიდევ ქა-
ბუკი, ბრძოლის ველზე მოკლულია, და აგრე მა-
საც სინათლესე მოქსმა...

არა ცის ქვეშეთ ზედით გაღებულად
არა ყ-ფილა!..

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

იოსებ არიმათიელი

**კახარა მოგონება
დიდს გომსანსა**

ოთხმოციან წლების დასაწყისში „დროე-
ბის“ რედაქცია მუხრან-ბატონის სახლებში
იყო მოთავსებული, სასახლის ქუჩაზე.

ავადმყოფობის განო ჩემმა ძმამ სერგეიმ
გაზეთის პატრონობა ჩავვაბარა: ალ. ყაზბეგს
მოჩნუბარიძეს, სტ. ქრელაშვილს, ილ.
ბახტაძეს, დავ. კეზელს (სოსლანს) და მე.
იმ ხანად ჩვენი წარჩინებული მწერალნიც
მოგვხედავდნენ ხოლმე, ერთად ერთი ქართული
გაზეთის მოქირახულეთ და იმ მცირე დროს,
სანამ გაზეთს ვუძღვოდით, ვცანით და დავრ-
წმუნდით, გამოვცადეთ, რა ჯაფაცა და შრო-
მაც უნდა ჰქონოდა სერგ. მესხო, როცა თოთ-
ხმეტი წლის განმავლობაში ამ საქმეს თითქ-
მის მარტოდ მარტო უვლიდა.

მაშინ თავის დიდს მოწყალებას აკაკიც
არ გვაკლებდა. ხშირად შემოვიდოდა რედაქ-
ციაში და გაზეთისთვის მარგალიტ მისაღებს
გვაწვდიდა თავის თავად ცხადია, რა აღდ-
ვომაც იქნებოდა ხოლმე ჩვენთვის აკაკის
წვევა. ყველა გაფაციცებით ველოდით, რო-
ცა ხელს გულჯიბისკენ წაიღებდა გაზეთის
დამამშვენებელი ნაწერის ამ-საღებად ასეთ
დროს საერთო სიხარული ყველას შეგვიპყ-
რობდა და ვამაყობდით: —ხვალ აკაკი იქნება
გაზეთში!... ამ სიხარულს ყველას ვუზიარებ-
დით.

იმ ხანებში აკაკი ბინად ელიაბედ მარ-
ჯანიშვილის ქვრივისას იღბა, ვერაზე, არ
მაგონდება, ვის სახლში. ამ ოჯახთან მგო-
სანს კარგი მეგობრული განწყობილება ჰქონდა.

ერთ დღეს რედაქციაში ჩვეულებრივ
მოგვევლინა აკაკი. წვიმიანი დღე იყო და

მგოსანი უკალოშოდ, გახუნებული სერთუ-
კით, უპალტოოდ იყო. როგორღაც დაღვრე-
მილი დაჯდა. შევწუხდით, რადგან, როცა
საგაზეთო რამ მისაღო გვეგულეობდა მგოსა-
ნის მადლიან გულჯიბაში, სულ სხვა იყო
გუნება მისი და სახის მეტყველება. პირა-
დათ მე ეგ კარგად მქონდა შესწავლილი:
როცა აკაკი მზიარულად, სახეზე ღვთიური
ღიმილითა და თავისებური ღიღინით შემო-
ვიდოდა, შემემლო სანაძლეო დამედო, რომ
მგოსანს რაღაც დაუწერია, თანა აქვს და
მზად ვიყავი იერიშისთვის... ახლა კა...
ცულ გუნებაზე დავდევით, გაგვიცრუვდა
იმედი.

— აკაკი.. არაფერია...? — დავეკითხე.

— არაფერი! — მკვახედ სთქვა მგოსანმა

— არა, თქვე ოხრებო, რომ ითხოვთ და ით-
ხოვთ სულ, ეს ფეხის ქირა მინც მომეცით.
იმ სიშორიდან ამ ამინდში ფეხით მოვძუნძულდი
და და აგერ კიდევ შემოსავალში თქვენმა
მეზილემ წაღაზე წყალობა მიბოძა ცხვირიდან.

გავიციეთ. მგოსანი დაღვრემით იჯდა...

— აკაკი, გეკადრება შენ, რომ ერთი
სიტყვა არ გითქვამს არაბი-ფაშაზე? — ვუთ-
ხარი მგოსანს.

აბაშეთის გემირი-სარდალი - არაბი-ფაშა
იმ ხანებში თავის მამულის დამოუკიდებლო-
ბისთვის თავ-გამეტებით იბრძოდა.

— არაბი-ფაშა... ჰო, — სთქვა მგოსანმა.

მცირე ხანს თავი ჩაჰკიდა, შემდეგ თვალეზ
გაბრწყინებული, ღიღინით წამოღდა, „მისი
ღიმილი“ სახეზე დაეკრთო და წავიდა...

მეორე დღეს შემოვიდა. ახლა კი ვიგრ-
ძენით ყველამ, რომ ხელცარიელი არ იყო
მოსული, .. თან მოიტანა საუცხოვო ლექსი
— „არაბი-ფაშა“.

გაბრიცდა არაბი-ფაშა,

უბედური და მზე ბნელი!

ნეტავ, ვის ეურჩებოდა,

თავისუფლების მძებნელი. „ და სხვ.

წავეკითხა. რედაქციაში იყვნენ, სხვა
თა შორის, როგორც მაგონდება: პეტრე
უმიკაშვილი, ალ. ყაზბეგი, დ. კეზელი და
სერგ. ბახტაძე. ყველა აღტაცებაში მოე-
დით. დაასრულა კითხვა თუ არა, მივვარდი,
მაგრამ ლექსი ხელად ჯიბისკენ გააქანა.

— აკაკი, შენი ქირიმე, რას შერებნი? დავეღრიჯე. ხვალვე დავბეჭდავთ.

— მაგის იმედი კი მაქვს, თუ მოგართვით მუქთად.

— ღმერთი არ გამიწყრეს, მანათის მეტი არ მქონდეს და—აჰა! გავუწოდე მანათიანი.

— მოიტა, შვილო, მანათიც ფულია... და სანამ არ ჩამომართვა, ლექსიც არ მანდო. შერჩვეული იყო ჩემგან მტაცებლობას.

— აკაკის ბიოგრაფმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ერთად ერთმა ქართული გაზეთის რედაქციამ მანათად იყიდა მისგან ლექსიო—სთქვა პეტრე უშიკაშვილმა.

— ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მანათი მისცა დიდს მგოსანს, როგორც თქვენ მეძახით, ისეთს ლექსში, როგორც) „არაბითაშაა,“ — დასძინა აკაკიმ.

პეტრე უშიკაშვილი

დაბა-სოფლის მოღვაწენი



უჩნჯარო მუშაკნი რომ ესაჭიროება, ჩვენს უპატრონოდ მიტოვებულ დაბა-სოფლებს, ეს ხომ ცხადი ჭეშმარიტებაა. პროფინცია თავის სულიერ ცხოვრებათ უჭვექის გუდს არ დაუკავშირდა, ისე მისი წინსვლა წარმოუდგენელია. თეატრი და მწერლობა, ზოი ორი მთავარი ძალა, ხალხის წინ წამწევი, რომლის გაზრცელება დაბა-სოფლად საჭიროა. და რამდენადაც უფრო მუ-

პროფინციის დამსახურებული სცენის მოყვარე და მწერალი
ნიკ. ი. სიხარულიძე
(ნიკო გურული)

ყაიანი მუშაკნი გვეუფლებიან ამ ასპარეზზე, იმდენად ნაყოფიერი იქნება თეატრისა და მწერლობის მოღვაწეობა. საბედნიეროდ დაბა-სოფლებში თანდათან მრავლდებიან ხალხის წინსვლის თავდადებული მუშაკნი. ერთი მათგან-

ია ნიკოლოზ ივანეს ძე სიხარულიძე, ნიკო გურულიის სსხედით ცნობილი, რომელიც 1894 წ. გამოვიდა სათეატრო-სამწერლო ასპარეზზე და მას შემდეგ შეუცრებლად, ფხიზლად ემსახურება ორივე ამ საქმეს. 20 წლის განმავლობაში იგი თავგამოდებით ემსახურებოდა პროფინციის სცენას სხვა და სხვა ადგილებში და სათეატრო ხელოვნების ხალხში გაზრცელებას ხელს უწყობდა. გარდა სცენისა ჩვენს მწერლობაშიც თვალსაჩინო მონაწილეობას ღებულობდა და დღესაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელია. ქართლში არ არის ისეთი კულტურული საქმე, სადაც ნიკო სიხარულიძე არ იღებდეს შესაფერ მონაწილეობას ამიტომაც ხაშურის ქარ. დრ. წრის გამგეობამ, საზოგადოებამ და სცენის მოყვარეთ გადარწმუნებეს, რომ ივანეს მისი ოცი წლის მოღვაწეობის შესრულების აღსანიშნავად სადღესასწაულო წარმოდგენის გამართვა.

გუსურებთ, ჩვეულებრივის ხალხით განეგრძოს პროფინციის სცენის მოყვარის და მწერლობის მძიმე ასპარეზზე მუშაკობა.

ი - ელი

ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი

პოემა ვაჟა ფშაველასი

(კრიტიკული ესკიზი)

(გაგრძელება. იხ. „თ.და“ ც. 4 № 22)

აოხრებული, აწიოკებული სამშობლოს კირასუფადად რჩებოდა საქართველოში მდებრობითი სქესი ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების მძიმე პირობათა მეოხებით შემუშავდა ქართველ ქვრივის ტანი. მამაკაცი ომში ეყო კართული, ხოლო მთელი შინაური საქმე, საოჯახო მუშაობა, ხვნა-თესვა, კირანხულის მოწევა ქალებს ჭქონდა დაკისრებული. ამ ტარეობაში შემუშავა ქართველ ქალის ხასიათის სიმტკიცე. ამის მეოხებით ჩვენს ისტორიაში გათქმულია მხნეობა, სიმამაცე, სიბეჭითე გამბედაობა ქართველ ქალისა. ოთარანთ ქვრივი და მამიდა ასმათი—ორივე ქართული ტიპებია, ორივე აღმოცენებული და გაზრდილი ქართულს ნიადაგზე...

აბა დააკვირდიო სანათას, დრმად მოხუ-
ცებულს ფშაველს დედაკანს, რომლის თვალზე
არ შრებოდა ცრემლი, ეს ერთად ერთი ნუგეში
ბედის მიერ დაჩაგრულისა .. ფშავეთში ამიანობის
გამო შემცირდა კანთარიცხვი. ზოგაერთი სოფე-
ლი მარტო ქალების ამარა და დარჩა. ფშაველ-
თა ზოგაერთ სალოცავების წინაშე მლოცველი
მამაკაცი აღარ სჩანდა... ერთს ადგილს, — ობ-
დად დარჩენილს სალოცავში გამოცხადდა ჩვეუ-
ლების წინააღმდეგ მხოლოდ სანათა, რომელიც
ძლივსდა დდიოდა ის

„ჯოხზე დაეყრდნო
ხანხალით, ძალის ძალითა.

და ეს დრმად მოხუცებული სტიროდა თვისი
სოფლებების, ხოშარელთ შავბედის წკრასა...
მამაკაცი არ მოჩანს. მას

„მარტო აუნთავ სანთლები
და ხატიც უდიდებია;
მარტო დაუკლავ საკლავი,
თითონვე უტყავებია;
მარტოდ-მარტოკა დიაცსა
ხატ-ღმერთი უდიდებია...“

სანათა შვედრი იყო ხომარისა, რომლის
მამაკაცი საშობლო მტერთან ომში გაწედნენ.
აი ამიტომ სანათა ეუბნება კვირიას:

„დავარგე ყველა თვის ტომი,
ვინაც კი მყვანდა თავისა.
მამრთა შააკლეს მტერს თავი.
ხსენება გასწყდა კაცისა.
ვინც დავრჩით ცოცხლად დიაცნი,
დახოცილებსა ესტირითა.“

მთელი დრამა ტრიალებს ხომარელთა ოჯახებ-
ში. ისმის იქ გამუდმებული ტირილი ბედებისა
ჩვენ რო გენახამენ პტირალთა,
ბაღლებიც ატირდებიან;
გლოვის მიზეზსა გვკითხავენ,
დიდებს რო გვაკვირდებიან.
არ მიიღებენ პასუხსა

და უფრო აყვირდებიან.“

მოხუცებულს სანათას ის უთუთქავდა გულს
რომ დაჭკარკა ქმარს და შვილი ერთს,
დღეს მტერთან ბრძოლაში.

„შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
თითო ლომისა დარია.
შვიდივ გამიწყდა ერთს დღესა,

მამაც იმათთან მკედარია.
ხოშარის გორზე დავმარხე
თავზე დასტორის ქარია.
ორ კვირას საფლავებ ვსთხარე,
იმათ თავშესაფარია ..“

ამ უბედურების მიუხედავად ჭირში გასაღე-
დევებული სანათა დაბეჯითებით ამბობს:

„უკაცურთ კაცობა გემართებს,
მანამ სულ გვიდგა პირშია...“

რადგან საჯარეში, სალოცავის წინაშე, დედა-
კაცის მიერ საკლავის დაკვლა და მამაკაცის
როლის შესრულება აღკრძალული იყო მთიელთა
შორის, — სანათა დარწმუნებულია, რომ უკაცო-
ბის გამო

„ხატიც შეუნდობს ცოდვასა,
რო ნახავს გასაკირშია ..“

სალოცავად წასვლას აბედინებს სარწმუნო-
ბის ზედგავლენის ქვეშ შემუშავებული ღოცვის
წეს-რიგის შესრულების ძლიერი წყურვილი. ამ
წეს-რიგის შესრულებლობა მიანია დიდ ცოდ-
ვად რადგან მამაკაცები აღარ არიან, მას სან-
ათას ჰგონით,

„ვინ ემსახუროს ხატსა?
მაშ ვინ აუნთოს სანთელი?
მაშ ვინ დაგვიკლას საკლავი?
ვინ მოაკმიოს საკმელი?“

ხომარელი ქვრივი სანათას განცობა ვაჟ-
ფშაველას ზოქმის საშუალებით მეტად დრმა,
წარუძღვლეს შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველ-
ზე. საქართველოს ისტორიული ცხოვრების
ცოტად თუ ბევრად დაკვირვებული მცოდნე ქარ-
თველის გამოსახულების ნიშნ მისი განცობით
თვალთ წინ წარმოდგება სანათას მსგავსად
მტრადღი, წელში მოხრდილი, ხანხალით მოხია-
რულე თვის შვილთა მუდამ მგლოვი, მრავალ
ტანჯული საქართველო. სანათა ზოქტური სიმ-
ბოლოა წამებულის საქართველოსი. მთელი თა-
ვისი მრავალსაუკუნოვანი სიცოცხლის განმავ-
ლობაში საქართველოს უფრო მეტი დრო გლო-
ვასა და ტირილში უტარებია... მისი ღომ-
გულნი შვილნი ბრძოლის ველზე აღამებდნენ
და ათენებდნენ. თითოეულს მათგანს ვაჟა-ფშა-
ველას ზეზვას მსგავსად შექცდო ეთქვა თა-
ვის თავზე

„სულ ლაშქარსა ვარ, რაც კია

ძუძუს მომსლიტა დედამა.“

მაგრამ მტირალი საქართველოს ნუგეშად შეგვიძლია ჩაეთვლოთ ის გარემოება, რომ მას, შავბედის მიერ გულგატეხილს, მტერთა დამარცხების მონატრულს, ეზრდება ახალგაზრდა ასული ლელა, რომელსაც შემევიდრეობით გადასაცემია დედისგან სამშობლოს გულწრფელი შეგნებული სიყვარული : ლელა ასულია მამავალი, ახალი საქართველოსი... ის კი არაა მამალური სახლის ჭერქვეშ, დროს კი არ ატარებს ჩაცმა-დახურვასში, ზრანჭვას-გრესასში სარკის წინაშე, კი არ სტდილობს თვისი გარეგნობით, ჩქარაწარმავალი ჭკობადაი სიღამაზნით მოხიბლოს მამაკაცის გული, მთელის თვისის ცხოველი არსებით გამსჭვალულია საქმიანობის სიყვარულით... გატაცებული სამშობლოს მხურვალე სიყვარულით მთიელი ქალი ლელა თვის ავადმყოფს, სარტყელზე მწოდს, მამას კი სტოკებს და სურს მამაკაცებთან ერთად წავიდეს მტრებთან საომრად... მეტად გაკვირდა დაშქარი, როდესაც

„თამამად, ვაჟაკურადა,
თავს წამოაღდა ქალია ..
ცხენს იჯდა მამაკურადა,
წელს თუმც არ ერტყა ხმალია.
ხელთ ეპყრა შუბი წვერ-მახვი,
მამისგან მონაპარია;

ლელა მოგვაცანებს თვისი თავგანწირულებით ებრძვების იუდათს... ის ზირდაზირ ეუბნება დაშქარს, რომ მას მტრებთან ომი სწადიან:

„მინდა რო ჯავჯი ვიყარო,
ბევრს რამ ავს საქმეს სჩადიან:
იკლებენ საქართველოსა,
ბუმბერაზობით დადიან.
ხმლის ქნევით ვერ გაგაკვირებთ,
ფარშუბის დაგეღობითა,
მაგრამ ჩემს საცდელს მაინცა
ვეცდები გამგეღობითა.

მას ამოძრავებს დიადი გრძნობა შურის ძიებისა, მტრისთვის სამავიეროს გადახდას... იქ, ბახტრიონის ციხეში, დატუვებულია მისი ღვიძლი დედაც... მტრებს მართებს იმას გარდა—მისი ძმების სისხლიც... ლელა დაბეჯითებით გაიძახის:

„სისხლის ალგება, ხომ იცით,
მუდამ წესი და რიგია...
ან უნდა მტრისა ხმლით მოვკვდე,
მე თავი გადამიღვია“

მაგრამ დაშქარმა არ იხება ლელას თან წაყვანა ბრძოლაში... ის უარყოფილი მის მიერ, ტრემლის ღვრით გაბრუნდა უკან... მისი გულის მწუხარებას თითქმის თვით ბუნებაც თანაუგრძნობდა.

„ქალის ქვითინსა მდულარეს
მთანი იწერენ მკერდზედა;
კრემლით ატირდნენ წყარონი,
ჩამომდინარნი გვერდზედა“

ამის და მიუხედავად, როგორც უკვე ვიცით, ლელამ შეასრულა ზირდაზირად თავისი სცდელი და თავი შესწირა სამშობლოს კვირიასთან ერთად თვით ბახტრიონის ციხის შიგნით. გასაოცარია საქართველოს ისტორიული სვე-ბედი... არ მოიძებნება დედამიწის ზურგზე სხვა ერი, რომ იმდენი ეტანჯოს, რამდენიც ტანჯულა ქართველი... რამდენი ქართველებზე უფრო ძლიერი ერი აღიგავა დედამიწის ზურგიდამ... ქართველი ერი კი დღესაც ერობს, დღესაც თავისებური ერია... მძიმე ისტორიულ გარემოებათა შორის უხლებოდა ქართველს ერს ცხოვრება... ცუცსლი ეღებოდა მის არსებობას. ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი და ნიაფ-ღვარი თან ახლდა მის ცხოვრებას, მაგრამ, ჰოეტის არ იყო, „შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა: იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე თავის მიწისა...“

ხალხის გამოსასულებამ ქართველი ერის არსებობის უმაჯალითა, არა ჩვეულებრივი დაცვა იმ დროს, როდესაც ასეთი დაცვა გონების მიერ თითქმის წარმოუდგენელია, მათწერა ციურს ძალას, ციურს მფარველობას... ციური ძალა ხალხის ჭაზრით, წინ უძღვის ქართველს ერს ბრძოლის უკან და ანიჭებს ძლევას.

ილ. ფერაძე

(დასასრული იქნება)





მ. შ. ბ.

† მ. ი. უ. დიდი მთავარი კონსტანტინე
კონსტანტინეს ძე — კ. რ.

მისივე პიესის „მეუფე ურიათა“-ს გმირის
იოსებ აბიმათიელის როლში.

იზი ომშია!..

(ლექსი პროზათ)

— ნუ ტირი დედა... ნურც შენ, ბერ-
კაცო?... თვალებზე ცრემლი არ დამანა-
ხო...

— არ ვტირი შვილო... არ... ვტირი...
გფარავდეს ღმერთი... გფარავდეს ზენა...

— მშვიდობით დედა... მშვიდობით
მამა...

...გაქრა მეეტლე და ლადიკოც თან წარი-
ტაცა...

დრო გადიოდა. წერილი არ ჩნდა ლა-
დიკოსაგან.

„პეტრის ბიკი ტყვედ წაიყვანეს...
ჰავლიე დასქრეს... გოგია მოჰკლეს გერმა-

ნელგმა, ლადიკო არ ჩანს, მე ცოცხალი
ვარ“ — იწერებოდა მეზობლის კოტე.

— ვაი?ე შვილო... სადა ხარ, შვილო...
თუ აღარ მყავხარ... ან ეხლა კედები ბრძო-
ლისა ველზე და მე მეძახი!.. ან თუ მკვდარი
ხარ და მგლის ხროვა ძღება შენი ხორციით...

— გულს ეხოდა ქვრივი მარინე, დიად ის
რკვე დაქვრივებული იყო: ქმარი უცებ მო-
ვარდნილმა წყალმა დაუხრჩო ყანისა მკაზე,
რადგან ერთად ერთი მშველელი შვილიც-
კი გვერდზედ არ ჰყავდა

მისი ლადიკო გერმანელებთან ბრძო-
ლაში ბრღვინავდა: ერთს ხელი მოსქრა,
მეორეს ყური ჩამოათალა... მესამეც სურდა
შუაზე გაეხო, მაგრამ გაშმაგებული მტერი
მძლავრად ეტაკა და მიწაზე დასცა. ის იყო
კიდევ დაახრჩობდა, რომ იმის ბედზე გერ-
მანელისთვის ხმალს თავი არ წაედრო. ლადიკო
მტრისა სისხლში შეეცურდა, ხოლო მკვ-
დრის ხელი კი მას შეაცივდა და ძლივს
მოიშორა... ყორყა გაუტყდა... კოტა ხნის
შემდეგ ზეზე წამოდგა, მაგრამ ვერ შესძლო
და მკვდართა გორას მიესვენა. ითხოვდა შეე-
ლას, მაგრამ მშველელი არავინ იყო...

ვინ ვის ებრძოდა და გულს უმირაფ-
და... ტყვია ზუზუნით მოჰქროდა ტრიალ
მნდორზე: ვის მკერდს უპობდა, ვის შუბლს
უხერცტდა, ხელ ფეხს უმსხვრევდა... ისმოდა
გმინვა საზარელი, გულის მომკვლელი...
ვინ ვის ლანძღავდა სხვა და სხვა ენით:
ქართველი ნემეს... ნემეცი კახაკს...

აი, იქ, მიღმა „ჰკა მაგასაო“ დაიღრიალა
რუსების ჯარმა და გერმანელი ხიშტების წვერით
მალლა ასწიეს.. მაგრამ მამაცა მტერი, ხიმ-
ტზე აცმული მაინც, იბრძოდა: ხმალსა იქ-
ნევდა თავ-განწირული...

აეგო მთა დაქრალი-მკვდრებისა...
დაღამდა, შეწყდა სისხლისა ღვრა-
გადარჩენილთ თავს უშველეს, და დასასვენებ-
ლად მომოიფანტნენ...

ზადრმა მთვარემ გამოაჩინა ბრძოლის
შედგე.

ვის თავი ჰქონდა გაჩეხილი, გულადმა
იწვა... ვინ უხელფეხოდ ეგდო მკვდრებისა
გუნდში და საზარელი ხმით დედას ეძახდა:

მე მას დავეძებ

(გ. ქუჩიშვილს)

მე სულაც არ მსურს ოქრო-ვერცხლით ვიყო მდიდარი და იმის გამო გარს მეხვიოს ზღვა მეგობარი. არა, არც ის მსურს დიბა-სტაფორით ვიყო მორთული, რომ მით მოგხიბლო, დავიმონო ლამაზთა გული. ეს ყველაფერი ფუჭი არის და წარმავალი, მათი მსგავსია მათ მამებრის უძღვები თვალი. მე მას დავეძებ, რაც რომ არის წმიდა უკვდავი... დიდება იმას, ვინც ამ გზაზე დადგას თვის თავი.

მ. ველისციხელი



აი, რაღა ვარ!..

„მიშველე დედა!.. დეეედა... მიშველე...“ ვინ ცოლსა და შვილებს ახსენებდა... ეთხოვებოდა: „მშვიდო“ით, ჩემო საყვარელებო შოთა და თინა... მშვიდობით მარო... ვეღარ მნახავ... ვახმე, სად ვკვდები!..“ ქართველი, რუსი, გერმანელი, მოყვარე, მტერი ერთმანეთში არეულიყო... ერთმანეთსა გულში ჩაკვროდნენ და ისე კვდებოდნენ.

პირბადრმა მთვარემ დიდხანს უცქირა საზარელსა სანახაობას! ვერცხლებო კაშკაშამ გადახედა თითოეულ ვაჟკაცს და თითქოს კითხა: — „რათჱკლავთ ერთმანეთს, რა დავიშავათ?!“ „პასუხის ნიშნად დაქრილება თავსა აქნევდნენ;“ არ ვიცითოა თითქოს ამას ეუბნებოდნენ... მთვარე განრისხდა ამ პასუხით, შერცხვა მათ მაგიერ და თეარს ლეჩაქში გაეხვია.

II

სოფელი კ წუხდა.

ბრძოლისა ველი ჯერ აქ არ იყო, მაგრამ მტრის მოლოდინში აქაც კი იყვნენ:

შიმშილ-სიცოვე, კვნესა, გოდება და მწუხარება აქაც მეფობდა...

ვინ შვილს ტიროდა... ვინ ქმარს, ან და ძმასა... ხალხი ბედშავი, ხალხი მწუხარე, ნელნელა შავით იმოსებოდა...

ზოგი დაქრილი, უფებ უხელო, ზოგიც მსუბუქად—შინ მოსულიყო: გადარჩენოდა მტრის ტყვეით სიკვდილს.

არვინ იცოდა სად იყო ლაღო, მარინეს შვილი...

დედა ტიროდა... მდუღარე ცრემლით შვილსა იგლოვდა, თუმკა იმედი შვილისა მოსვლის ჯერ კიდევ ჰქონდა, უძილო ღამეს ატარებდა, ღიეროს შეკლადადებდა:

— მიწის წამყრელი ერთი მყას შვი-



კორნეტი ევ. სოლ აფხაზავა
ჯუმათელი, ავსტრიის საზღვარზე გმირობის გამოჩენისთვის მრავლად დაჯილდოვებული, ოთხჯერ დაქრილია.

ლი... ნუ წამართმევ, მომგვარე. დამქნარ სახეზე ცრემლი სდიოდა, მაგრამ შეილი არ მოდიოდა.

შემოდგომისა ცივი ქარი მარინეს კარებს ეხეთქებოდა, დაქრილ მხეცივით ღრიალებდა, არ ისვენებდა, ფოთლებს აყრიდა.

ერთ დღეს ვილაცამ შვილის მოსვლა ახარა დედას:—ბიძასთან გამოიარა და ხვალ შენთან მოვაო.

იმ დამეს სულ არ ეძინა გახარებულ დედას. მეორე დღის შუადღე გადვიდა, ლაღო კი არ სჩანდა. მარინე მაზლთან გადავიდა. ლადიკო დედას გზაში ასცდა.

— რაღას მატყუებთ, თუ არ მოსულა... მითხარით ჩქარა..

შესძახა სასოწარკვეთილებით დედამ. შეილის შინ წასვლა არ დაიჯერა. ძლივს დაარწმუნეს. ახლა სახლში გაბრუნდა, მაგრამ ლადიკო არც იქ დაუხვდა: მამის სიკვ-

დილის ამბით თავზარდაცემული ლადიკო მეზობლის ქალსა შინ წაეყვანა.

— „აჰა მატყუებენ!.. აღარც სახლშია... იგი ომშია!.. ომშია... ომში“... შეჭკივლა დედამ და გულსაკლავად გაღიხარხარა..

— აგერ ვარ დედა... შესძახა ლადომ და ჯვარ-მენდღეით დამშვენებული გულმკერდი, საყვარელ დედას მიუშვირა, რომ ჩაკროდა, მაგრამ ამაოდ...

— შორს ჩემგან... ვილაცა ხარ... ვერ მომატყუებ... ხა...ხა...ხა...ხა... ჩემი შეილი ომშია, ომში! კვლად შეჭკივლა მშობელმადედამ.

— ოხ, ღმერთო!..—ერთი ხარივით დაიბღავლა ლადომ და ჩაიკეცა.

მარინემ კი მის დანახვზე კვლავ უზროდ გაღიხარხარა და მეზობლებს გასჩურჩულა:

— შეილი ჩემი ომშია, ომში!..
ს. რემონიძე

მ ნ ი რ ი-ს ბ რ ღ ა ლ ი

(გაგრძელება. იხ. „თ და ც.“ № 22)

ერისთავი (ხელს მოჭკიდებს შაფვას და გრძნობათ) შეილო, რა გინდა?..

შალვა (ერისთავს) ახლავე, მამა!.. (მედროშეს) ვერ აირჩიეთ, კიდევ სარდალი? .

მედროშე ვერა, ბატონო! თუმცა ყველასა

ჩვენ შორის უჭრის, ვით ვაჟაკს, ხმალი; მაგრამ სარდლისთვის ეს არა კმარა და ჩვენც ვერავის ვხედავთ მისთანას, რომ უწინამძღვროს დღეს ომში ჯარსა და მოველინოს მხსნელად ქვეყანას!..

შალვა მაშ, მე გიჩვენებთ თვით განგებისგან

ჩვენი ჯარისთვის სარდლად არჩეულს,— ქაბუკს, დიდებულ გმირთ შთამომავალს, დღემდის მკვდარს ჩვენთვის, დღეს გაცოცხლებულს!..

(მცირე დუმილის შემდეგ) ალბად, შენ კარგად გემახსოვრება

დიდი სარდალი, გმირი ოთარი, ამ თხუთმეტის წლის წინად ბრძოლის დროს

სახელოვანის სიკვდილით მკვდარი, მასთანვე ერთად რომ დაიხოცნენ შეილებიც: ვახტანგ და ელიზბარა?..

მედროშე (თანხმობის ნიშნად თავს დახრის) დიად, ბატონო!

ხომ იცი, ოთარს ჰყავდა მესამე შეილიც პატარა?

მედროშე როგორ არ ვიცი?..

შალვა საწყალომ დედამ, სიკვდილისაგან რომ დაეფარა, მაშინვე თურმე წმიდა გიორგის მონასტრის კედლებს ის შეაფარა!

(მედროშეს თანდათან სხე უბრწყინდება) ალბად, უნდოდა, რომ, ცხოვრებასა მოშორებული გამოზრდილიყო:

დავიწყებოდა სოფელ-ქვეყანა; ჯერ მწირ-მორჩილად იქ ყოფილიყო და შემდეგ, როცა გაიზრდებოდა, მაშინვე ბერად აღკვეცილიყო

მაგრამ თავისს ხვედრს ვერვინ წასვლია და ვერ წაუვა შეილიც ოთარის

და ვერ დარჩება დღეს მონასტერში,
როცა ქვეყნისთვის საჭირო არის!.

ეს არის ახლა ბურანში მყოფსა,
წმიდა გიორგი გამომეცხადა
და მიმითითა მაზე და მითხრა:

„ჰა რჩეულიო თქვენთვის სარდლოდა..“

მედროშე (აღტაცებთ) ეს ის მწირია,
აღბად, ბატონო,

აი, იმ დღეს რომ ჯარი მოგვყავდა
და მაშინ ვნახეთ; მივხედით კიდევაც
რომ ჩვეულებრივ მწირსა არ ჰგავდა!..

შალვა იგია სწორედ!

მედროშე როგორ ეტყობა
გმირ წინაპართა შთამომავლობა
და, თუ არა მას, დიდ ოთარის შვილს,
მაშ, ვის შეჰფერის ეხლა სარდლობა?..

ის ქაბუკია, მაგრამ გმირთ შვილი,
თვითონაც გმირად დაბადებული
და მთელი ჯარიც იმის სარდლობას
მიეგებება აღტაცებული,—

დარწმუნებული, რომ გამარჯვებას
ის მოუპოვებს, ღვთისგან რჩეული!

შალვა (აღტაცებთ) და რწმენა ზომ
თვით მთასაც შესძრავსო!

წადი, ახლავე ახარე ჯარსა,
რომ უგზავნის თვით წმიდა გიორგი
ღირსეულ სარდალს და წინამძღვარსა! .

(მედროშე თავს დაუკრავს და მიდის. შალვა
ერისთავს) შენდა ნინო-კიმი მონასტერში

უნდა წახვიდეთ, მამა, ახლავე;
აცნობეთ გივის, რაც ბედი ერგო
და მოიყვანოთ ამაღამვე,
რომ ხვალ კიდევაც გაუძღვეს ჯარსა
და მოუპოოს მას გამარჯვება!
ვეგრძნობ, დათვლილია ჩემი წუთები
და ჩემი პირით ამბობს განგება,
რომ მამულს მხსნელად მტარვალთ

ხელიდან

მწირი სარდალი დღეს ევლინება!

(მოისმის გარედან ჯარის მხიარული კიჟინი.
შალვა გახარებული)

აბა, გააღეთ მალე სარკმელი!

(მანანა ადებს სარკმელს. ხმაურობა უფრო ძლი-
ერდება)

ხმა (გარედან) გაუმარჯოს მწირს,
სარდლოდ რჩეულსა!..

(მოისმის ჯარის აღტაცებული კიჟინი: „გაუ-
მარჯოს, გაუმარჯოს!..“)

შალვა (სახე გაბრწყინებული)

ხმა ერის—ხმა ღვთის! რა დაუდგება
წინ ჯარს, ამგვარად აღფრთოვებულსა?..
ოჰ, ნეტავი თქვენ: კვლავ ნახავთ
მამულს,

ღიდებით მოსილს, გამარჯვებულსა!..
(სულებს აღაშფოებს)

გმადლობ შენ, ღმერთო, რომ
შემიძლიან,

ტკბილ იმედითა დავხუქო თვალი
და ვინუგეშო, კვლავ ღირს პატრონის
ხელში გადავა ეს ჩემი ხმალი!..

(ადებს იქვე მიუუდებულ ხმას და ერისთავს)
ჰა, გადაეცი და მოუყვანე
ჯარს, ღვთივ ნაკურთხი, მალე
სარდალი! .

(ერისთავი გამაართმევს ხმას)

ნუ იგვიანებთ,—მსურს სიკვდილის წინ,
უკვე რომ ვხედავ მოახლოვებულს,
მე თვით დავლოცო დიად საქმისთვის!..

(ერისთავი შუბლზე აკოცებს შალვას და ადგება.
ნინო აგრედვე აკოცებს შალვას და ხელს მოჭ-
კიდებს ერისთავს)

ხმა (გარედან) ვაშა მწირ-სარდალს,
ღვთივ მოწოდებულს!..

(ერისთავი და ნინო მიდიან. კვლავ მოისმის
ჯარის აღტაცებული კიჟინი: „გაშა, ვაშა!..“
„გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..“ და შალვაც, ნეტა-
რებით აღსილი, უსმენს ამ კიჟინს)

ფარდა

სუქა მუხუკო

(გაგრძელება იქნება)

ქართული სცენის ქურუმნი

მსახიობი ალ. იმედაშვილი

ახლგაზრდა მსახიობთა შორის დიდი
ეურადლების ღირსია ალ. იმედაშვილი. ამ მსა-
ხიობის უტყუარ სსსცენა ნიჭში ეჭვი არასო-
დეს შეგვიტანია, ხოლო მისი ნიჭი რომ მო-

კლებულია წრთენა—განვითარებასა და არა აქვს გავლილი რიგისანი სკოლა, ესეც, ჩვენის აზრით, ექვე-გარეშეა. ეს თქმის არა მარტო ალ. იმედაშვილზე, არამედ ეგელა ჩვენს ახალგაზდა მსახიობზედაც. სწავროდ ამისთანა გარეშეობა უფველ ნიჭიერ მსახიობს ძალიან ხელს უშლის. ბ-ნი ალ. იმედაშვილის ნაჭში სავსაოცრესელი ტრიალებს. მას აქვს კარგი ტემპერამენტი. იგი ტონიერი მსახიობია, უფველ როლს დიდი დაკვირვება-შეგნებით ასახიარებს. კარგად აქვს აწონილ-დაწონილი თავისი ნაკისრი როლი და მშვენიერ ფარგლებში ჩამოყალიბებს ხელმე უფველ პიროვნებას. ლაგ-ალაგ მისი თამაში თითქმის მხატვრულ შემოქმედების იერს იღებს. მას ვერ ვუსაუველეურებთ, რომელიმე ტიპს ერთი და იმავე ტრაფარეტით თამაშობს.

ბ-ნი ალ. იმედაშვილი უხვად არის დაჯილდოებული ერთ შესანიშნავ თავისებით. ეს განლაგთ მისი სასცენო რიხიანი ხმა. მაგრამ, სიუბედუროდ, იგი ვერ არის დაყენებული ერთ დონეზე. სრულიად არ არის მოქნილი, თვით ხმის ტემპრი ლაგ-ალაგ არა სისიამოვნო გილას იღებს, არ არის სათუთი. და ამიტომაც არის, რომ მის ხმაში ვერ იხატება ვერც სილსე, ვერც გამომშეშეველი აღფრთოვანებული სიხარული და ვერც სეგდა-შეუხარება ამის გარდა, მსახიობს ხმა სრულიად არ ემორჩილება არც დაბალ და არც მაღალ რეგისტრებში, უფრო სავსაოცროდ დგება ერთ დონეზე და მისი ხმის გამომეტეველებაც მხოლოდ მაშინ იღებს სისიამოვნო ტემპრს. მაგრამ აქაც თითქოს ძუნწობს მსახიობი და ნების არ აძლევს თავის დიაპაზონს, რომ გაიმჯღოს ბ-ნი ალ. იმედაშვილი მიმიკის მხრითაც მოისუსტებს. მსახიობის სახე არ მოძრაობს სავსაოდ, ვერ ხატავს აღმანიის ქმუნვა-სიხარულს*) არც პლასტიკა უფარვა, სრულიად მოკლებულია ელასტიურობას. მისი მიხვრა-მოხვრა მოუხეშავი და ტლანქია. ნამეტნავად როდესაც ბ-ნი ალ. იმედაშვილი ასრულებს ხელმე მაღალ წოდების პიროვნებას, არისტოკრატს, მაშინ ეს ნაკლი ნათელ ფონ-

ზე გამოდის. ერთი ცუდი თვისება სჭირს ამ მსახიობს. ეს არის სცენაზე უხერხული სიარული. კაცს ეგონება, რომ ამ აღმანიის სიარული არ იცისო. ამას დიდი უურადლება უნდა მიქციოს პატრიტეში მსახიობმა. აგრედვე ცუდი არ იქნება, რამ ბ-ნი იმედაშვილმა თავის რეპერტუარსაც თვალი გადაავლოს და უურადლებით მოეპურას თავის რანგს. მსახიობი ბევრ შეუფერებელ როლს კისრულობს, რაც მის ამზღუას ეწინააღმდეგება, რადგან, ჩვენის აზრით, ბ-ნი იმედაშვილი ამზღუის მსახიობია. მხოლოდ იმგვარ როლებში გამოსვლა, როგორც ედიზე შეფეა, სხვა ვერაფრით ვერ ავსნით თუ არა იმით, რომ ბ-ნი იმედაშვილი, როგორც სხვა ჩვენი ახალგაზდა მსახიობნი, შეკატომანით იტანჯება. ჩვენ ის არ გვინდა ვთქვათ, რომ ამგვარ როლებს თავი მიანებოს. სრულიად არა! ედიზე შეფის, ან ჭამლეტის შესრულებისთვის როდი კმარა მარტო სურვილი ან თუნდაც ნიჭი?! ამისთანა როლები ითხოვენ თუ დიად ნიჭს არა, დიდ ცოდნას, დიდ მომზადებას და ჩინებულ ტენიკას მაინც. კლასიკური ნაწარმოები—კლასიკური შესრულებას მოითხოვს! თვით დიდებული მსახიობნი რამდენიმე წლით ემზადებან ამგვარ როლებში ეგრობის ერთი გამოჩენილი მსახიობი, სავსუხაროდ ახლა მისი სახელი არ მახავს, თავის ავტობიოგრაფიაში იხსენიებდა, რომ: შე შევიდის წლის განმავლობაში ძლივს მოვაძხადე ჭამლეტის როლი და შემდეგ ისე ვედირე რამის სინათლესო. შეიძლება ეს ზოგის გადაჭარბებული ეგონოს, მაგრამ ჩვენ კი სრულ ჭეშმარიტებად იგვაჩნია, შეიძლება ბ-ნი იმედაშვილმა კარგად შეასრულოს ედიზე შეფე, მხოლოდ ხანგრძლივ მომზადების შემდეგ. თუ იგი კარგა შემეშავებს, შეისწავლის და შეიგნებს არამც თუ ძლიერ პიროვნებას ედიზე შეფისას, არამედ თვით ანტიურ სოფოკლეს ტრაგედიას. მხოლოდ იმისთანა შესრულება, როგორც ამ ჟამად ასრულებს ედიზე შეფეს, სრული არ არის. თუ მსახიობს გმირისადმი არავითარი განცდა, არავითარი თანაგრძობა არა აქვს, ის მსახიობი არ განიცდის გულწრფელად თავის გმირის ტანჯვა-ვაებას, თუ მასთან ერთად არ იწვის და ილაგვის იმავე ტრეხლით, რა ტრეხლითაც იწვის

*) ოტელოს განსახიერებაში რაოდენათმე იცილია ეს ნაკლი. რედ.

ავტორი თავისი გმირით, არავითარ თანაგრძობას არ გამოიწვევს მსურველებში. მსახიობი თავის გმირის განცდის დროს უნდა იტანჯებოდეს როგორც მშობიარე დედა.

უკვლავ ამ ნაკლს, დარწმუნებული ვართ, ჩვენი მსახიობი შრომა-ენერგიის წყალობით თავიდან აიშორებს, რაღაც დაღან სსსურველია იმისთანა მადლიან ნიჭის პატრონისათვის, როგორც ანის ალ. იმედაშვილი, რათა ღირსეულად ემსახურას წმინდა ხელაგნებს. ბ—ნი იმედაშვილი ვერ ისევე ახალგაზდა ძალა და თუ იგი თავის ნიჭს შესაფერ განვითარებს მისცემს, ბრწყინვალე მამაგადა მასია! მსახიობი თავის შესაფერ როლებში შეუდარებელია და ბეგრჯელად მოუყვანია ჩვენი საზოგადოება ადტანებსში. მკაფიითაღ ტიპიურად ასრულებს დათას როლს „დაღანტში“ თამაშად ვიტყვით, რომ იმედაშვილი დათას როლის შემქმნელია. მშვენივრად ასრულებს აგრედვი ფრანც მოდრს. ზოგიერთ ადგილში ნამდვილი მხატვრის ხელიტ ეტეობა და ეს განთიადის დასაწყისია, რომელსაც ნელ-ნელა მოსდევს მისი სხივები და შემდეგ ფართოდ და უხვად ეფინება ქვეყანას. ჩვენს ვუსურვებთ ახალგაზდა ნიჭს, რომ მისი დასაწყისი განთიადი იყოს და ამომავალი მსხ—მისი გაფართოვება და გაბრწყინება.*)

გ. გარრიკი

მინადორე და დარიკო

(გურული სცენა)

მინადორე. გამარჯობა შენი დარიკო.

დარიკო. ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო დაია.

მინად. სა იყავი, ცავე? გუშინღამ გამეცია-რე და გამოტყუეცილიყო წითლათ!

დარ. სა ვიყავი და ონიკოსას წვევდით მე და ჩემი ყაზახი, მარა იქინე მისლამდის რომ დემემართა, მისთანა დემართოს

შენი ბაღების დამაწყევარს. ბეჩა შინიდან ქე გევედით შვილობით ცავ... გადვეიარეთ „ნახალოვექის“ ხილზე თუ არა, მიხმო აი კაცი ვინცხამ, დუულაპარაჯა რაცხა და გამოუშვა. პაწაც გევიარეთ, მიხმო მიორემ .. მესამემ... მიოთხემ... მეხუთემ და კილომ რეთმა ვინ დეთვლის ბეჩა. ამ ცთაში მეც ქე გავეუქლი და ვკითხე რეიზა გინმობენ ში ქჯებითქვა?! მაგენი მედუქნეებიაყო! დუქნების დაკეტვის შერე დგანან კარზე არაყიანი შუშით* გამველელ-გამომველელს მიხმობენ... დუუუსხამენ .. ასმენ და წაალეტენ ორ გროშო. ამას რომ მიჩივა ამ დროს დაუსრიალდა ბეჩა ფეხი და ხაბურძაკივით არ ჩაკოტრიალდა უშველებელ ორმოში! ვიკივლე, არიქა მიშველეთ ვინცხამთქვა, მარა სა იყო კაცი. კილომ კი მანვე შეიმავრა ფეხი თუ არა, დემემსებოდა თვალი, ქე დეთქმებოდა კაცი.

მინად. სადაა ცავე მაგფერი ორმო?

დარ. სადაა და ჩერქეზოვის ქუჩის ბოლოს: ვინცხა კოლო ალიხანოვის სახლთან ბეჩა. აი ხუთი ქცევა მიწა ამოღებულია .. შით მოსახლებშია, ამ მოსახლებშია წყალი დგანა იმისთანა რომევერ გუუარ სუნით სიახლოვეს. ვკითხე—რად გინდათ აი დამპალი წყალი მეთქი?! ში ღორი, ბატი და კვტიებისთვის გინდაო. ღორს, ბატს, და კვატებს ჩივა თვარა, იმას კი არ ფიქრობს, რომ აქანე როცა დუუცხუნებს მზევი მაშინ რომ შავი ქირი ამოშვება და მომიწირეხებს კისერსო. ცავე, შემიბრალო, თავარანგელოზ. შა თვარა—იქინე რომ ჩემ ყაძახს ეტყულურცა თავი, დღეს ფეხებ გაჩიკინებული იქნებოდა.

მინად. შენ იქოური ყმაწვილ-კაცები რომ შეგზვდენოდა, იგენი უფრო მართალს გათქმიებდენ. დილიდან საღამომდი ბანქოს თამაშობენ შიშველ მინდორზე, საღამოს გეიწვიებებიან ბატებივით... დაწანწალობენ შარაზე. თუ შეგზვდენ ქალი და კაცი მიმავალი, ქალს ისთე მოთათხავენ, ვერც გარეცხოს გონია ტკვარმა... კაცს ისთე მორეხვენ, რომ ქაშის ქამა უქირდეს და გეისტუმრებენ მასთე

დარ. ოოო იმიზა ჩივიან ახლანდელი ყმაწვალების ფასი ჩხირიაყო. მაგენი რამეს გააკეთებენ კი არა—გაკეთებულსაც დაღუბენო! მშვილობით, ჩემო, დაია, მშვიდობით.

მინად. ნახვამდის შენ გენაცვალე.

ალი-ძამია

*) მსახიობმა ალ. იმედაშვილმა თავისი რეპერტუარი გააძლიერა ოტელის როლის საუკეთესო აღსრულებით, რომლის განსახიერებაშიაც დიდი ნიჭი გამოიჩინა. ჩენ გვგონია, რომ იგი ტრადიკულ როლებისთვისაა დაბადებული.

სახალხო მოღვაწენი



იოსებ ალექ. გოძიაშვილი (1887—1915),

სახალხო სიმღერა-გალობლის ღობეზარი, მოულოდნელად გარდ. 21 მაისს და იმავე თვის 24, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს. დაიბ. ქ. თბილისში 13 მარტს 1887 წ. პირველ დაწეობითი სწავლა მიიღო წმ. მარინეს სამრევლო სკოლაში, შემდეგ თბ. სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მოძრაობის დროს თვითგანვითარებას შეუდგა, მოძრაობის ხანაში თავისი წინარი მუშაობით მუშათა შორის ხელს უწყობდა ძობა-ერთობის და სიყვარულის განმტკიცებას. სწერდა ლექსებსაც, მაგრამ საერთო სიყვარული ღობეზარობით დაიშა სურა. სიმღერა-გალობა ბავშვობიდანვე უყვარდა ექვსი წლისამ დაიწყო გალობა წმ. მარინეს ეკლესიაში კ. ჩარკვიანთან, შემდეგ სემინარიაში მდ. კარბელაშვილთან, ბოლო დროს სანდრო და მ. კავსაძეებთან და მ. ლაბაძესთან პირველი ადგილი ეჭირა. მ. კავსაძის ძველ გუნდში გამგეობის წევრად იყო. 1913 წ. გიორგობის თვეში დაასა ქალთა გუნდი, მთელი 1913 წ. თავის გუნდით ემსახურა უსასიდილოდ თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციას, 1914 წ. დაასა ვაჟთა გუნდიც. სიმღერა-გალობას დიდის ენერგიით ასწავლიდა უსასიდილოდ. დროგამოშვებით საზოგადო კონცერტებს მართავდა იგი თავის სიმღერებშიც კი მუშათა ცხოვრებას გვიხატავდა: მან პირველმა გამოიყენა 1913 წ. სახალხო სახლში 50 ქალისაგან შემდგარი გუნდი, რომელმაც პირველად შეასრულა: „მუშებო, თქვენი მარჯვენა“, „სტირიან თუშის ქალები“,

„მურელი“, „უუუუნა“, „მოკვდი მტერო“ და სხ. ეს სახალხო სიმღერა-გალობის მოუცნადა ჩვენს სახალხო სიმღერა-გალობის საქმეს, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა აღარ აცადა.

განისვენე მშვიდად, სახლის წინარო და უნგრეო მუშაკო.

შ—რო

+ ნიკო ადამია შეგნებული მამაკე მუშათა კლასისა და საზოგადო საქმეთა ერთგული მშრომელი, გარდაიცვალა ტუაშხუში 20 მაისს. 1905—1906 წ. სახალხო მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. საერთო საქმისთვის ბევრი სიმწერე განიცადა, იჯდა ციხეშიც, მაგრამ ამით გული არ გაიტყნა და საზოგადო საქმეს არ ჩამოშორდა. ქ. ფოთსა და მოუღ სამეგრელოში მას იცნობდნენ, როგორც შეგნებულ მუშაკს, ენერგიით სავსეს და პატიოსან აღმზანს უყვარდა კულტურული დაწესებულებანი და კიდევ დასმარებას უწყევდა ზნეობრივად თუ მატერიალურად. იყო ქ. შ. წ.—კ. გ. ს. ტუაშხის განყოფილების საზოგადოებისა და გამგეობის წევრი. წ. კ. ს. განყოფილების წევრებმა განსვენებულის კუბო შეამკეს გვირგვინით საუკუნოდ იოს სხენებს შენი, პატიოსნო მუშაკო

სანდრო შონია

ქართული სახიობა

ხელოვნათა კლუზში გასულ კვირას გაიმართა

ფრიად საყურადღებო ხელოვნათა პირველი სალიტერატურო დღეა. 1 განყ. იმედაშვილმა ისაუბრა იოსებ დავითაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მწერლობის შესახებ; 2 განყ.—თავთუფისი ნაწარმოებნი წიკითხეს: ლ. მაისურაძემ, ვ. შინატხელმა, ნ. მერკვილაძემ, ანტ. განჯისკარელმა, ს. ერთაწმინდელმა, მ. ველისციხელმა, ბ. ახოსპირელმა, ი. გარსევანიშვილმა და გ. ქუჩიშვილმა. 3 განყ. დაუკრეს და იმღერეს 3. პეტროსიანცმა ი. ტერ-არუთინოვმა, მ. შახაზოვმა, გიგომ, მარტიროზოვმა, რ. ჯიბლაძემ ნიჭიერად წარმოსთქვა რამდენიმე გურული სცენა.

—ერთი

3. გუნიას თაოსნობით სახაზინო თეატრში

კვირას, 24 მაისს წარმოდგენილი იქმნა „ოტელო“, ალ. იმედაშვილის მონაწილეობით. ალ. იმედაშვილმა თავისი ნიჭიერი, დაკვირვებული თამაშით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ქართულს სცენაზე ერთი უკეთესი განმასახიერებელია ოტელოსი, და თუ იმედაშინა, შესაძლოა მსოფლიო ოტელოთა შორის საპატიო ადგილიც დაიჭიროს. ხსენებულ საღამოს დანარჩენი მსახიობნი, გარდა გუნიასი, თავის ადგილას ვერ გრძობდნენ თავს. პ. კორიშელი რომ ტკივანი და დაკვირვებული მსახიობია, ეს იმ დამეს იავს

აღსრულებითაც გვიჩვენა, მაგრამ სრული იაგო-კი მანკ ჯერ კიდევ ვერ შექმნა: იაგო თვით ოტე-ლოზედაც უძნელესი როლია, გარდა შესწავლისა - საჭიროა მისი განცდა, შესისხლორება, მისი ორი ბუნების შეთვისება; შიგა და შიგ ჰქონდა ზოგიერთი ისეთი ადგილები, მ - ე სურათში, სადაც ჰგონობდი, თითქო იაგოს სული ჩაიდგაო, მთლად კი ვერ დაიფლო. წარმოდგენას საზოგადოება ცოტა დაესწრო.

შსპანო

სახალხო თეატრი სახ. წარმოდგ. მმართველ-მა წრემ კ. შათირიშვილის რეჟისორობით 24 მაისს წარმოადგინა „ყაჩაღები“, აღ. შანშიაშვილი ასრულებდა ფრანცსა და კარლოსის როლებს. ფრანცის როლის აღსრულებით შიგა და შიგ ხელოვნების სათანადო სარისხსაც მიაღწია. დიდძალი ხალხი დაესწრო.

ი-ელი

სანდრო კამსაქის კონსტატბა., ნიკო კავსაძის ხელმძღვანელობით გამართულმა სახალხო სახლში მ იენისს. დიდძალი საზოგადოება მოიზიდა, და კარგი შრამბეჭდილებაც მოახდინა. კონცერტის დაწყებამდე ფრანც შინაარსიანი ლექცია წაიკითხა კომპ. კ. ფოცხვერაშვალმა ქართული ეროვნული მუსიკის შესახებ. რეცენზიას შემდეგ დავებეჭდათ.

ნაპალადვის თეატრი

კვირას, 31 მაისს, დამსახურებულ მსახიობ კ. მესხის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად წარმოდგენილ იქმნა მისივე პიესა „ბაგრატ IV“. ბაგრატის როლს ასრულებდა ბ-ნი გ. სვანიძე. ამ ნიჭიერმა სცენის მოყვარემ კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ნაკისრ როლებს პირნათლად ასრულებს. კარგები იყვნენ აგრედვე ს. სვიმონიძე (ვანტანგი), ი. კანდელაკი (პაატა), ა. ძაძამია (ტუსალი) ქ-ნ გოგაშვილისამ ვერ დასძლია მარიამის როლი. კარგი იქნებოდა ქ-ნ ქ. კამკამიძეს (ქეთევანს) შესაფერი კაბა ჩაეცვა. თავადებში ძალიან სუსტობდნენ: ი. გიორგაძე (ქაიხოსრო) გაბინაშვილი (საბა). წარმოდგენა გვიან დაიწყეს, ხალხი ბლომად დაესწრო. დღეს წარმოდგენენ რაც გინახავს ველარ ნახა“.

სოსო

ქუთაისის თეატრი ქართველ მსახიობთა ამხანაგობის საზაფხულო სეზონი 6 მაისს დასრულდა. არ არის საჭირო იმაზე ლაპარაკი, თუ საერთოდ რა პირობებში უხდებათ ხოლმე ჩვენს მსახიობებს სცენის სამსახური. თუ მივიღებთ მხედველობაში ამას, მაშინ ამხანაგობას მადლობის მეტი არა ეთქმის რა. ყოველგვარი საშუალება იღონეს, რომ სეზონი პირნათლად წაეყვანათ და მართლაც შესძლეს ეს. მართალია 26 წარმოდგენას ხალხი ისეთივე ხალისით არ დასწრებია, როგორც ზამთრის სეზონში იყო, მაგრამ ამაში ბრალი მსახიობთ არაა და არამც არ მიუძღვით. ხალხი დაიღალა და ბოლოს უგულოდ ეკიდებოდა.

რეპერტუარი ამხანაგობას, უნდა ითქვას სიმართლე, უკეთესი ჰქონდა, ვინემ ზამთრის სეზონში იყო. საგასტროლოდ მოწვეულნი იყვნენ ქ. ნინო ჩხვიძის

ასული რამდენჯერმე და ბ. ზარდალიშვილი დასში ისეთი შესამჩნევი ძალები იყვენ, როგორც ბ. ბ. იშხნელი, ყალბევიშვილი და სხ. რეჟისორად ყავდათ ახალგაზდა, ნიჭიერი და ვანეთარებული გემოვნების პატრონი ბ. კ. ანდრონიკაშვილი. მოწვეული იყო აგრედვე საგასტროლოდ ბ. შალიკაშვილი. რეპერტუარიდან განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ორი ნათარგმნი პიესა, რომელიც პირველად დაიდგა ქუთაისის სცენაზე: „დაძირული ზარი“, რომლის შესახებ მცირეოდენი გამონაკლისით, შეიძლება ითქვას, რომ უნაკლოდ იყო დადგმული შემდეგ კი „იუდას მემკვიდრე“. ორიგინალური პიესებით ეს სეზონი უფრო მდიდარი იყო. დასდგეს: ბ. დ. კლდიაშვილის ერთმოქმედებიანი ტრაგედია: „უბედურება“, რომელიც ხალხს ძლიერ მოეწონა, ი. გომართლის კომედია „იასონის ოინები“. რომელიც ქუთაისის სცენაზე პირველად დაიდგა; შოთა დადიანის დრამა „განწირული“ კ. ანდრონიკაშვილის საბენეფისოდ. ამ პიესამ უფერულად ჩაიარა და განსაკუთრებით დამსახურება ამაში ბ. არადელ-იშხნელს მიუძღვის, რომელმაც პირველხარისხოვანი როლი პიესაში სრულიად დაჩრდილა. ბ. შალვა სანებლიძის პიესა „ცხოვრების ტალებში“, რომლის სიუჟეტი მოძრაობის ხანიდან არის აღებული, დასდგა ბ. გვარაძემ თავის საბენეფისოდ. დამსწრე საზოგადოებას ეს პიესა ძლიერ მოეწონა

საერთოდ ამხანაგობა ძლიერ ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ესამოვნებინა საზოგადოებისათვის, და, მე მგონია, ამას დასმა სრულებით მიაღწია. ყოველ პიესის დადგმას ეტყობოდა სიღინჯე, მოზაადება და ერთსულოვნება.

უსურვებ მსახიობებს შემდეგშიაც ასეთი მუყაითობა გამოეჩინათ.

ხაშურის ქართ. დრამატ. წრის გამგეობამ,

რომლის თავმჯდომარედაც ბ-ნი კ. ძნელიძეა, მეტად საგულისხმიერო და სასარგებლო ნაბოჯი გადასდგა სათეატრო საქმის პროვინციაში გადატანის ასპარეზზე და აი, ამ მიზნის განსახორციელებლად, სოფ. ზემო-გომის ინტელიგენციის სურვილით, შემოიერთეს რა გომის რაიონი თავის სამოლავწეო რაიონში, გადასწყვიტეს, როგორც დ. ხაშურში, აგრედვე სოფ. ზემო-გომში და ახლო მდებარე სოფლებში მოაწყონ იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენები. ამ მიზნის განსახორციელებლად წესები შეიმუშავეს და გომში საქმის მომწყობა კომიტეტის-კი აარჩიეს (თ-დი ვ. ბაგრატიონ-დავითიშვილი, კვალაშვილი, კაველაშვილი, შანშიაშვილი, კაველაშვილი, კეკელიძე, გოგავა, მოსიაშვილი და სილვესტროვი. პირველი წარმოდგენაც უკვე დაიდგა კვირას—24 მაისს გომის სამეურნეო ამხანაგობის ფართო შენობაში, რომელშიაც მეტად მოხდენილი სცენა იყო მოწყობილი, ახლად დაარსებულმა წრემ—ხაშურის ქართ. დრამ. წრის გამგეობის თაოსნობით და ამავე წრის სცენის

მოყვარეთა მონაწილეობით, გაკმართა პირველი ქართ. წარმოდგენა. ითამაშეს ირეთელის 5 მ. დრამა „ღამარცხებულნი“, რომელიც საუცხოვოდ იქმნა შესრულებული წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. შემდეგი წარმოდგენა განზრახულია ამ მოკლე ხანში.

ნიკო გურული

წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი

◆ **სახალხო სახლში** 7 ივნისს წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე.“

◆ **აპაკის საღამო** სახაზინო თეატრში გაიმართება 9 ივნისს, მგოსნის დაბადების დღეს.

◆ **რუსულ სთეატრო შურ.** „Рампа и Жизнь“ მე—21—ე ნომერში მოთავსებულია წერილი: „ქართველები და ქართული თეატრი“, მოკლე ისტორიული მიმოხილვა, კოტე აბაშელისა (?). ამავე ნომერში მოთავსებულია ვლ. ალ. მესხიშვილის სურათები რასპლიუფეისა და ურეელ აკოსტას (შეცდომით ჰამლეტი აწერია) როლებში.

◆ **რეჟისორი ალ. წუწუნავა** აცხადებს, რომ ზამთრის სეზონის გათავებისთანავე ქართ. მსახ. ამხანაგობას ჩამოშორდა.

◆ **სად. აფიშაბულში** 9 ივნისს—„აპაკიობას“, დიდებულ მგოსნის აკაკ ს ფონდის გასაძლიერებლად ადგ. ლობრივ სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართება აკაკის საღამო შემდეგის პროგრამით: 1 მის. კიხიშვილი (ხერხეულიძე) წაიკითხავს მოხსენებას: „აკაკი, როგორც ისტორიულ საქართველოს გამომსახველი“. 2—წარმოდგენილი იქნება აკაკის „პატარა კახის“ მეორე და 3. ერისთავის „დავა“—ს მეოთხე მოქმედებანი. 3 აპოთეოზი: აკაკის სურათთან წაიკითხავენ აკაკისავე ლექსებს

◆ **ვასო ურუშაძეს** დაუწერია ახალი ორიგინალური ერთ მოქმედებანი კომედია „ომი ოსმალეთთან“.

◆ **ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ** ვასო ურუშაძის მეთაურობით გამართა წარმოდგენები სამტრედიას, ხონსა და ყვირილაში („დამთხვეული დედაკაცი“, კომ. „ომი ოსმალეთთან“). შემოსავალი ყველგან კარგი იყო. დასი: ქ. მარო მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, ბ. ბ. ი. ბარველი, ა. ყალაბეგიშვილი, ვ. ურუშაძე, დ. ჩხეიძე და გ. გურული.

◆ **ზაფხულის სეზონისთვის დაბა ჰვირილაში** ქართველ მსახიობთა ამხანაგობას განუზრახავს წარმოდგენების. მართვა ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში, ჯერ ჯგრობით დასში ირიცხებიან: ქ. ქ. მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, კ. რუხაძე, ბ. ბ. ვ. არაბიძე, არ. არაბიძე, ი. ბარველი, ნ. ასათიანი, ა. ყალაბეგიშვილი, ა. სანდალიძე, ნ. ჩხეიძე, ვ. ურუშაძე, მოკარნაზე გ. გურული.

◆ **ვალ. გუნიას რეჟისორობით** და ტ. აბა-

შიძის მონაწილეობით სახალხო სახლში 10 ივნისს წარმოდგენილი იქნება „ედმონდ კინი“. კინის როლს შეასრულებს ვ. გუნია.

◆ **ახალ კლუბის გამასახლისთა საზოგ. მ** მიიწვია მსახიობი ვასო აბაშიძე და იუზა ზარდალიშვილი მთელი ვაფხულის განმავლობაში წარმოდგენების სამართავად.

◆ **დ. ხაუზური საზაფხულო სეზონი** დაიწყო შაბათს, 13 ივნისს ხაშურის ქარ. დრამ. წრის მიერ—მსახიობ-ქალის ა შოთაძის და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენენ ა. გარდელის ახალ ორიგინალურ პიესას „გაწყვეტილ სიმს“ (ვახტანგს შეასრულებს ი. ზარდალიშვილი). შემდეგისათვის განზრახულია „უბედური“—სა და ჰეერმანსის „იმედის დაღუპვა“—ს წარმოდგენა.

◆ **ნაპალაღვის ცენის მოკვარათა კაბა** შესდგა 24 მაისს, დაამტკიცეს ერთი წლის შემოსავალ-გასავალი (შემოსავ. 1498 მ. 87 კ. გასავ. —1519 მ. 30 კ) და ხარჯთაღრიცხვა—2170 მ. მიიღეს ახალი წევრები და სარეპერტუარო კომისია აირჩიეს. ფასები 10—30 კ.

◆ **თელავში არსდება** ქართ. დრამ. წრე ქ. შ. წ. კ საზ—ის განყოფილებასთან. წრეს განზრახვა აქვს საჭირო თანხას მოუყაროს თავი სასკოლო—სათეატრო დარბაზის ასაშენებლად.

◆ **ისტორიკოს კლ. იოსელიანის** გარდაცვალების ორმოცი წლის თავი სრულდება 15 ნოემბერს

ახალგაზდა მომღერალ ა. ინაშვილის მონაწილეობით 8 ივნისს სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო“. თვით ინაშვილი შეასრულებს რიგოლეტოს პარტიას.

შემოწირულება

პრაპორუჩიკმა დავ აკოფაშვილმა შემოსწირა: 1) აკაკის ფონდისთვის 10 მან. 2) ქართული თეატრის ასაგებად—10 მ. და 3) ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ გასაძლიერებლად—10 მ. სულ 30 მან. რისთვისაც გულითადი მადლობა ეძღვნის შემომწირველს.

მ წ ი მ მ ო ზ რ ო ბ ა

ახალი წიგნაკი—„ორი სიტყვა“—ივ. გომართლისა და კიტა აბაშიძისა, ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების გამოცემა, № 3 წიგნაკი დაბეჭდილია მშვენიერ ქალაღზე, სუფთად, შეიცავს 24 გვ. და ჰღირს 20 კ. სასურველია ეს წიგნაკი მრავლად გავრც. ლდეს ხალხში.

ფ ო ს ტ ა

ხიღისთავი გ ლ ს. მოთხრობა ვერ დაიბეჭდება. ზეპირსიტყვაობა—ანდაზები, გამოცანები, ლექსები და სამკურნალო ლოცვები გამოგზავნეთ, განვი, ხილაფთ. სხვა ნაწერებიც—თუ გამოდგა, დაიბეჭდება.

ღუშეთი. „ღუშეთის სოფლის მასწავლებელს“. თქვენი წერილი, როგორც ხელმოუწერილი და მასთან უმართებულო კილოთი დაწერილი, ვერ დაიბეჭდება

მიიღება ხელის მოწერა.

ამა 1915 წ. ენკანისთვიდან გამომავალი სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი

„სახალსო მოსამბე“

ჟურნალი პარტიითა გარეშეა, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი ჟურნალში დასახელებად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.

პირველი ნომერი გამოვა ენკანისთვის 20—25 — დე, ზომით 15—20 ფორამდე რედაქციის ბინა: თბილისი, ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тиф-ლისь, ред. груз. жур „Ахали Моამბე“.

ფასი: წლიურად 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ენკანისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს: Тиф-ლისь, редакция груз. жур. „Ахали Моамბე“ Ивану Спир. Элашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ნინო ბეჟ. ყიფიანისა

ახლახან გაიხსნა

ა ფ თ ი ა ქ ი

პროფიზორის ა.ს. ახვლედიანისა

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი

„სახალსო ჟურნალი“

(კვირაობით) საშრატეობიანი დამატებით (კვირაობით)

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ.

ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ.

ხელის მოწერა მიიღება: „სახალსო ჟურნალის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუქესთან.

ფოსტით: Тифл., газ. „Сахалхо Пурцели“, почт. ящ. № 190.

ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული ვამოცემა

ეშმაპის მამარაჩი

ჟურნალის საშრატეო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ატარებენ ბუკია.

თანამშრომლები: ჯდუნიანი, ბლიაკაძე, შვი, კუშკი, თაგუნა, კენტი, კვინციანი, კოდი, მთარაძე, საფუცადონსონი, თისიმი, შატა, ფონ-ტეფი, შ. ქიქოძე, შერაძე, კაპრელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი—1 წლით 5 მან. 3 თვით 1 მ. 50 კაპ. „ახალ მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, პაროდები, გამოცენები, ნაკვებები და სხ.

ფურ. დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილუსტრაციები. რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифლისь С.П. Таварткиладзе. Баронская 15, почт. ящ. № 190 (ეშმაკის მათრახისთვის)

ახალი გამოცემა

უფელასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უსსო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორეა შეესებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული) წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოდი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელოვარის პარკელი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ვაჟს.

სადაც მოწარა მიიღება: ქუთ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში
სტოტი: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“

Журналъ „Театри да Цховреба“
НИСЛОВОДСКЪ
Г-ну Элиадзе для Гришашвили

კმ.

კმგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9
ტელეფონი № 71-2.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ყველა
საკუთარ სახლში

იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი
როგორც პუშკინის ქუჩაზე

ქართლის

გ. ლალიაძე

საბავთაძის ხელოსანი

თბილისი

ბოლშევიკის პარტიის
ფილიალის
9-ბ

ნომრები „აპროკრა“

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვაორონცოვის ძეგლთან. ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სამზვარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.
ტელეფ. 13—14 (წ)